სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 260-02
20/07/2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მედიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, კანონის 35-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 31-ე, 32-ე მუხლების და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2015 წლის 18 მაისის №6 და 2015 წლის 20 ივლისის №8 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 2015 წლის 20 ივლისს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მედიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და **მედიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** არჩეულ იქნას **თამარ კინწურაშვილი.**
2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცვა-ანგარიშის დეპარტამენტი, საფინანსო დეპარტამენტი, **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.**
3. უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი